საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011827638189626

საქართველო, თბილისი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1 ; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

25 / ნოემბერი / 2026 წ. **N 01/293645**

მაჰდი ამინი ჯაჰრიზსანგის
[redacted]

ბატონო მაჰდი,

გაცნობებთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) თამარ მიქელაძის წარმომადგენლის, მარიამ მიქელაძის, მიერ 2026 წლის 17 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა №219765 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2026 წლის 16 ნოემბრის N01/14746/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თამარ მიქელაძის შვილის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაცია მამის მონაცემების გარეშე და დაბადების მოწმობის გაცემა.

ადმინისტრაციული საჩივარი სააგენტოს 2026 წლის 18 ნოემბრის N01/287640/გ გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა წარმოებაში.

სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2026 წლის 16 ნოემბრის N01/14746/გ გადაწყვეტილებით თამარ მიქელაძის წარმომადგენელს, მარიამ მიქელაძეს, უარი ეთქვა მამის მონაცემების გარეშე თამარ მიქელაძის შვილის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციაზე, ვინაიდან სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ინფორმაციით ბავშვის დაბადებამდე, 2017 წლის 7 სექტემბერს თქვენსა და თამარ მიქელაძის მიმართ რეგისტრირებულია ქორწინების N01173005574 სამოქალაქო აქტის ჩანაწერი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად უფლება გაქვთ, როგორც დაინტერესებულმა მხარემ, წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით არაუგვიანეს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვის თარიღისა.


გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 196-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოში, 2026 წლის 10 დეკემბერს, 10:00 საათზე, გაიმართება ზეპირი მოსმენის სხდომა (მისამართი: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო № 1, თბილისის იუსტიციის სახლი).

დანართის სახით, გეგზავნებათ თამარ მიქელაძის წარმომადგენლის, მარიამ მიქელაძის, 2026 წლის 17 ნოემბრის N219765 ადმინისტრაციული საჩივრისა და სააგენტოს 2026 წლის 18 ნოემბრის N01/287640/გ გადაწყვეტილების ასლები.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

დავებისა და საჩივრების სამმართველოს უფროსი



ქრისტინე ბოლქვაძე